ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23
ტელ: 25-93-21, ფაქსი: 25-93-13

№ 01-16/92
„25“ 02 2014 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შედგენის მიზნით საკონკურსო განცხადებას თანდართული დოკუმენტაციით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

დანართი 16 (თექვსმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი ნადიმ ვარშანიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო
კომისიის სხდომის
ოქმი #1

ხელვაჩაური 2014 წლის 21 თებერვალი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

•ნადიმ ვარშანიძე– ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;

•ნოდარ ხალვაში- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

•ედნარ მამულაიშვილი- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

•ბიძინა დუმბაძე- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კომისიის წევრი.

.ზეინაბ კაკაბაძე- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

•მანუჩარ მანველიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით საკონკურსო პირობების განსაზღვრა და მათი დამტკიცება.

მომხსენებელი - მანუჩარ მანველიძე

მომხსენებელმა წარმოადგინა საკონკურსო პირობებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების პროექტი, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პირობები და განხილვის შედეგად დაადგინა შეფასების კრიტერიუმები, საკონკურსო წინადადების მიღების ვადა, ხელშეკრულების პირობები.

კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია და საკონკურსო განცხადება.

2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდეს ათბალიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების შესაბამისად:

ა) საპროექტო წინადადების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა - კოეფიციენტი-0,5

ბ) საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი-0,3

გ) გამოცდილება და კვალიფიკაცია - კოეფიციენტი-0,2

3. საკონკურსო განცხადების და თანდართული დოკუმენტების გამოქვეყნების მიზნით საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და მასზე თანდართული დოკუმენტაბის დასკანერებული სახით წარდგენა სააგენტოს ოფიციალური ფოსტი contest@procurement.gov.ge-ს მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე:	ნ. ვარშანიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ნ. ხალვაში
კომისიის წევრები:	ე. მამულაიშვილი
	ბ. დუმბაძე
	ზ. კაკაბაძე
	მ. მანველიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2014 წელი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება ----------3

ტექნიკური დავალება----------5

ხელშეკრულების პროექტი ---------- 7

საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი №1 ---------- 12

ტოპოგეგმა ---------- 13

საკონკურსო განცხადება

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (მის: ქ. ბათუმი დიდაჭარის ქუჩა №23) აცხადებს კონკურსს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **30 000** (ოცდაათიათასი) ლარს.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 10 მარტის 10 საათიდან 2014 წლის 10 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი დიდაჭარის ქუჩა №23. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

5. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 10 მარტს 17 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი დიდაჭარის ქ. 23, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით.(50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).
6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

14. თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე, რაც მითითებული უნდა იყოს დანართი № 1-ში.

15. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

16. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით.
ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
გ) გამოცდილების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები: 1) ძირითადი სპეციალისტების შესაბამისი განათლების დამადასტურებელი მოწმობა (დიპლომი). 2) პირის (ორგანიზაცია) მიერ გაწეული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია. (წარმოსადგენია შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები).
დ) შენობა-ნაგებობის სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსების გეგმა.
ე) შესყიდვის ობიექტის სართულების გეგმარების სქემა ძირითადი ზომებისა და ფართობების ჩვენებით. (A 3 ფორმატი).
ვ) შესყიდვის ობიექტის ვიზუალიზაცია 3 D ფორმატით. (A 3 ფორმატი).
ზ) განმარტებითი ბარათი.

შენიშვნა: აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული სახითაც pdf ფორმატით.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საპროექტო წინადადების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა - კოეფიციენტი - 0.5.
2. საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი - 0.3.
3. გამოცდილება და კვალიფიკაცია - კოეფიციენტი - 0.2.

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში სამშენებლო დოკუმენტის პროექტის წარმოდგენა 5 (ხუთი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში.

19. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

20. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. 23, მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: ზეინაბ კაკაბაძე ტელ: 599 85-14-70; მანუჩარ მანველიძე 599 85 15 85.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-კომუნალური (შიგა და გარე) ქსელებისა და მშენებლობის ორგანიზების პროექტისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.

ძირითადი მოთხოვნა:

სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა შეიცავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" N 57 დადგენილებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის შესაბამისი კლასისათვის გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტსა და დამატებით საექსპერტო შეფასებებს. ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი. დაპროექტებისას გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი კლიმატური პირობები. პროექტი შედგენილ იქნას მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

სამშენებლო დოკუმენტის პროექტი ასევე უნდა შეიცავდეს:

1. კონსტრუქციულ პროექტს სათანადო დეტალიზაციით (დამატებით ჩაუტარდეს ექსპერტიზა);

2. წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გარე და შიგა ქსელების პროექტს;

3. ელექტრომომარაგების შიგა ქსელის პროექტს (ავტომატური ამომრთველ/გამთიშველებით დაკომპლექტებული ძაბვის შემყვანი ძალოვანი გამანაწილებელისა და მრიცხველების კარადების გათვალისწინებით.);

4. ასაშენებელი შენობის ვიზუალიზაციას;

5. მთლიანი დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას;

6. სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტს;

7. მიწის ნაკვეთის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს;

8. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას, რომელსაც დამატებით უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა (პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან თანხვედრის ნაწილსა და განფასების ნაწილში);

საპროექტო სოციალური სახლის ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები:

სოციალური სახლი, უნდა შედგებოდეს ხუთსართულიანი, ნახევარსარდაფიანი შენობისაგან. სამშენებლო მიწის ნაკვეთის განაშენიანების (კ-1) მაქსიმალური ფართობი 950 მ². განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) მაქსიმალური ფართობი 5700 მ². საცხოვრებელი ბინების სავარაუდო რაოდენობა 40-45 ბინა, რომლის განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) მინიმალური ფართობია 50.0 მ², ხოლო ინტენსივობის (კ-2) მაქსიმალური ფართობია 90.0 მ². სამშენებლო ფართი არაუმეტეს 6500 მ².

ბინები ფართების მიხედვით მათი საერთო რაოდენობიდან საორიენტაციოდ გადანაწილდეს შემდეგი პროპორციით: 50.0 მ² -60.0 მ² -30%, 65.0 მ² -75.0 მ² - 50%, 80.0 მ² -90.0 მ² - 20%.

სამშენებლო მოედანზე შენობა დაიგეგმოს ისე, რომ დაცული იქნეს ნავთობტერმინალის ტერიტორიიდან შენობის განთავსების უსაფრთხოების ნორმები.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი წერილობით თანხმდება შემსყიდველთან.

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული (PDF) ვერსიით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს შემსრულებელი და უზუსტობის შემთხვევაში შემსრულებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით და დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.

კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა:

1. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი</u>

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

<u>ხელშეკრულება N</u>

ხელვაჩაური, ... 2014 წელი

ერთის მხრივ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, თავმჯდომარის მალხაზ ფარტენაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ..... სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N-----კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71300000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. <u>ხელშეკრულების საგანი და ღირებულება</u>

1.1. შესყიდვის ობიექტია: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შედგენა.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2. <u>ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</u>

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

2.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის --- ---------- N----- ბრძანებით შექმნილი საპროექტო საძიებო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფი.

3. <u>შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები</u>

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო დოკუმენტის პროექტი წარმოადგინოს ტექნიკური დავალების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში

3.2. სამშენებლო დოკუმენტის პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს 5 (ხუთი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში.

3.3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს მიმწოდებელი, უზუსტობის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით და დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5.2 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

5.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6. ფასები

6.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

6.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

6.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით ადგენილი შემთხვევებისა.

6.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელკშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

12.1. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

12.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	
ტელ: (422) 25 93 13	ტელ:
მისამართი: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	
ბანკის კოდი – LBRTGE22	
ა/ნ – **GE45LB0120166231817000**	
საიდენტიფიკაციო კოდი - 248428385	
თვმჯდომარე	
_____ /მ. ფარტენაძე ბ. ა.	

საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
4. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:
11. საკონკურსო წინადადების ფასი:

კონკურსანტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი _____

შენიშვნა: მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014094638 - 24/02/2014 17:10:42

მომზადების თარიღი
25/02/2014 16:13:59

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ხელვაჩაური			
22	**22**	**11**	**217**

მისამართი: რაიონი ხელვაჩაური , სოფელი ორთაბათუმი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:6000.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **22.22.11.122;**
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 463.60

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012156099 , თარიღი 12/04/2012 12:50:43
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/05/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N01-10/2005 , დამოწმების თარიღი:01/05/2012 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 22 22 11 217
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882014094638
მიწის ნაკვეთის ფართობი: 6000 კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:
მომზადების თარიღი: 25.02.14



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ვალდებულება
მშენებარე ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
სახელმწიფო ტყის ფონდი
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახური, ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5
www.napr.gov.ge